

„მზისა და ქარის ენერჯიების ტარიფი მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე თუნდაც ამ სასაცილო ხადორი-3-ის ტარიფი“

for.ge/view/165920/mzisa-da-qaris-energiebis-tarifi-mniSvnelovnad-mcirea-vidre-Tundac-am-sasacilo-xadori-3-is-tarifi.html



მანანა ნოზაძე

„თუ წყალი დაშრება, მოვალთ და ჩაგისხამთ წყალს, თუ ბალახი მოგაკლდებათ, ორჯერ მეტ ბალახს მოგიტანთ“, - პანკისელები „ხადორი 3“-ის მშენებელ კომპანიას კომიკური დაპირებების გაცემის გამო აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ ხეობის მოსახლეობა ჰესის მშენებლობის წინააღმდეგია. ხადორი 3 არა მარტო სასმელ და სარწყავ წყალს დააშრობს ამ ხეობაში, არამედ ზიანს მიაყენებს საძოვრებს და საფრთხეს შეუქმნის იმ ულამაზეს კუთხეს, რომლის სანახავადაც უამრავი ტურისტი მიემუშრება ამ ხეობაში. ეს კი ადგილობრივთა შემოსავლის წყაროა. რაც მთავარია, ამ პროექტის განხორციელებით დაშრება მდინარე ალაზანი და ხეობა მოსახლეობისგან დაიცლება.

რა პრობლემებს შექმნის ხადორი 3-ის აშენება პანკისის ხეობაში, ამის შესახებ **For.Ge** ამ სფეროს სპეციალისტს, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელ **დავით ჭიპაშვილს** ესაუბრა.

ხელისუფლების პოზიციაა, ნუ გამოვაცხადებთ ჯვაროსნულ ბრძოლას ჰესების წინააღმდეგ, თუმცა ამის საპირისპიროდ სპეციალისტები აცხადებენ, რაგინდ პატარა არ უნდა იყოს ჰესი, იმდენად მცირე ზომისაა პანკისის ხეობა, რომ ნებისმიერი ჰესი მისთვის პრობლემა იქნება. რამდენად საშიშია თუნდაც ეს „უნყინარი“ ჰესი პანკისელებისთვის?

- ეს არცთუ ისე უნყინარი ჰესია. მართალია, მისი სიმძლავრე 5 მეგავატია, მაგრამ გააჩნია, სად შენდება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ 6-მეგავატიანი ჰესი ავაშენეთ თბილისში მდინარე მტკვარზე, ამას შეიძლება მართლაც მინიმალური ზემოქმედება ჰქონდეს გარემოზე და არავის პროტესტის გრძნობა არ გაუჩნდეს, რადგან მდინარე მტკვარი დიდი მდინარეა, მისთვის 6-მეგავატიანი, ან თუნდაც 10-15-მეგავატიანი ჰესი პრობლემა არ არის. მაგრამ, როდესაც 5-მეგავატიან ჰესს გეგმავ პატარა მდინარეზე, ეს ჰესი იმ მდინარისთვის უკვე დიდ ჰესად ითვლება. როდესაც შენ ამ 5 მეგავატისთვის მდინარის მთლიანი დინების 90%-ის ალება გჭირდება, ეს ნიშნავს, რომ ეს არის ამ მდინარის მაქსიმალური პოტენციალი, რომელსაც ითვისებს კომპანია და, სინამდვილეში, ეს ამ კონკრეტული მდინარისთვის არის არა პატარა, არამედ დიდი ჰესი. მაგალითად, ავიღოთ ბროლისწყალი ყაბბეგში, იქაც კომპანია „ფერიმ“ ააშენა 6-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგური. ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ეფიქრა, რა გვინდა ამ 6-მეგავატიანი ჰესისგანო, მაგრამ ბროლისწყალი თერგის იმდენად მცირე შენაკადია, რომ ეს ჰესი ამ მდინარისთვის უკვე დიდია. ამიტომ შეფასებები, რომ 6-მეგავატიანი ჰესი თურმე მცირე და უნყინარია და ზემოქმედება არ ექნება, არასწორია.

რამდენად არგუმენტირებულია ჰესის მშენებელი კომპანიის მოსაზრება, თითქოს არასამთავრობოებმა აურიეს გონება პანკისელებს, თორემ მანამდე ადგილობრივებს პრეტენზია არ ჰქონიათ ჰესის მიმართ?

- რაც შეეხება ინფორმაციას, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა პანკისელებზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს ჰესთან დაკავშირებით, რამდენადაც ვიცი, დასახელებული იყო ჩვენი ორგანიზაცია. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვისმჯელებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ ვუპასუხოთ კომპანიას სამართლებრივად სასამართლოში.

ზოგადად, დიდ ჰესებზე უარს ამბობს თანამედროვე მსოფლიო, გასაგებია, რომ ხადორი 3-ის ერთი შეხედვით პატარა ჰესი არ ყოფილა მთლად უსაფრთხო, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ სურს სახელმწიფოს, აითვისოს თანამედროვე

ენერჯის წყაროები? მსოფლიოში დღეს წარმატებით გამოიყენება მზის, ქარის ენერჯიები. ალტერნატივა არ არსებობს, რომ ასეთი დაპირისპირება არ წარმოშობილიყო?

- მე გამუდმებით ვსაუბრობ, რომ ქვეყანას სჭირდება ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა. 10 წელია, ამას ვიძახით, როგორ შეიძლება ქვეყანამ თქვას, რომ ენერჯეტიკას ავითარებს გეგმის გარეშე?! ეს ხომ არანორმალურია. გარდა ამისა, ჩვენ ენერჯოთანამეგობრობის წინაშე ვალდებული ვართ გვაქვს აღებული, რომლებიც პირდაპირ ამბობენ, ჰესებზე გაფორმებული ხელშეკრულებები არღვევს ევროკავშირის დირექტივებს, ეს წერია ენერჯოთანამეგობრობის რეგულაციებში. ასევე, როცა საუბარია ნენსკრაპესზე, გამოქვეყნდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნა, სადაც წერია, რომ ეს პროექტი ფისკალურ საფრთხეებს უქმნის ქვეყანას. ასევე, გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის ექსპერტების დასკვნაც, რომლებმაც დაწერეს, რომ ეს პროექტი (აქ მართო ნენსკრასა და ნამახვანზე არაა საუბარი) არა მართო ფისკალურ საფრთხეს უქმნის ქვეყანას, არამედ ის უცილობლად გამოიწვევს ელექტროენერჯის ტარიფის ზრდას. გამოდის, რომ ჩვენ ვახორციელებთ პროექტებს ყოველგვარი გათვლის, ანალიზის, შეფასების გარეშე და მთავრობას უხარია, რომ თურმე ინვესტიციები მოიზიდა ამ სფეროში. სინამდვილეში, ინვესტიციები ფორმალური საკითხია ჩვენს შემთხვევაში, რადგან ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიდის ჰიდროელექტროსადგურის მანქანა-დანადგარებზე, ტექნიკურ აღჭურვილობაზე, რაც საქართველოში არ იწარმოება. ამიტომ ე.წ. შემოსული ინვესტიციების ძირითადი ნაწილის გადაქაჩვა ხდება სულ სხვა ქვეყნებში ამ ტექნიკის შესაძენად. ამდენად, მცდარია ეს ზღაპრები, რომ თურმე ჰიდროელექტროსადგურების გამო ინვესტიციები შემოდის საქართველოში და ეს თურმე ეკონომიკისთვის კარგია. არ შეიძლება ენერჯეტიკის განვითარება განვიხილოთ ეკონომიკის განვითარებად მაშინ, როდესაც წარმოდგენა არ გვაქვს, რა არის ჩვენი პრიორიტეტი ეკონომიკაში. სულ საუბრობდნენ, თითქოს საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება იზრდებოდა, სინამდვილეში, 2019 წლის იანვარ-თებერვალ-მარტში დაფიქსირდა ელექტროენერჯის მოხმარების მკვეთრი შემცირება როგორც თბილისში, ასევე, მთელ საქართველოში, მხოლოდ აფხაზეთის შავ ხვრელში იზრდება ელექტროენერჯის მოხმარება.

ბოლო დღეებში გვესმის მკაცრი განცხადებები, თუ ელექტროენერჯია არ გინდათ, მაშინ აღარ გვინდა ჰესები და ვისხდეთ ჩაბნელებულში. მართლაც ასე რთულადაა ყველაფერი?

- ეს საერთოდ მცდარი აზრია. არსებობს უამრავი ალტერნატივა. პირველი ალტერნატივა, რომლის კანონიც დღემდე არ არის მიღებული, გახლავთ ენერჯოფევეტურობა, რომელიც ეხება არა მხოლოდ ელექტროენერჯეტიკის სექტორს, არამედ მთლიანად ენერჯეტიკას, მათ შორის, გაზის მოხმარებას და ა.შ. სხვათა შორის, ელექტროენერჯეტიკისგან განსხვავებით, გაზის სექტორში მართლაც მნიშვნელოვნად ვართ დამოკიდებულნი ჩვენს მეზობელ ქვეყანაზე და

გაზის სექტორს გაცილებით დიდი წილი უჭირავს ჩვენს ე.წ. ენერგომიქსში, ვიდრე ელექტროენერგეტიკას. რატომ არავინ იღებს ხმას ამაზე? რამდენი ჰესიც არ უნდა ავაშენოთ, ელექტროენერგიაზე ხომ ვერ გავთბებით?

მაგრამ სახელმწიფო ამბობს, რომ მას ენერგოდამოუკიდებლობა სურს.

- ამ ტიპის დამოუკიდებლობას ვერასდროს მივაღწევთ ერთი ძალიან მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ ელექტროენერგიით არ ვთბებით და ჯერჯერობით არც ჩვენი ავტომობილები დადის ელექტროენერგიაზე. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, რატომ არ განიხილება და რატომ არ არის მთელი ძალისხმევა მიმართული არსებული ჰესების ენერგოეფექტურობაზე, რომელიც საკმაოდ გვაქვს, არსებული ჰესების ტექნიკურ გადაიარაღებაზე და სრულ რეაბილიტაციაზე, მათ შორის, ენგურჰესის, რომელიც საშინელ მდგომარეობაშია ტექნიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, მესამე ალტერნატივაა ახალი განახლებადი ენერგია, რომელიც დღესდღეობით გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურები. რატომღაც ხელოვნურად ხდება მზისა და ქარის ენერგიების განვითარების დაბლოკვა, სინამდვილეში, დღეის მდგომარეობით, მზისა და ქარის ენერგიების ტარიფი მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე თუნდაც ამ სასაცხოლო ხადორი-3 ჰესისა, რომლისგანაც ჩვენ თურმე ერთი კილოვატსაათი დენი უნდა ვიყიდოთ 6 ცენტად. ამ დროს ჩვენთან საშუალო შეწონილი სამომხმარებლო ტარიფი 5 ცენტიც არ არის. გამოდის, ჩვენ უფრო ძვირად ვყიდულობთ დენს, რომელიც არ გვჭირდება. ჩვენს რეგიონში ისედაც ყველაზე ძვირი ელექტროენერგიის ტარიფი ჩვენ გვაქვს და, თუ ეს ყველა პროექტი განხორციელდება, მივიღებთ სიტუაციას, როდესაც გვექნება ბევრი დენი, მაგრამ ეს დენი იქნება ძვირი, ბაზარი დენის ამ ფასს ვერ დაარეგულირებს, რადგან დამახინჯებული მოდელი გვექნება წარმოდგენილი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების გამო.

პანკისელები ამბობენ, რომ მათ სარწყავ და სასმელ წყალს, ასევე, საძოვრებს პრობლემები შეექმნება, რაც პირდაპირ კავშირშია ტურისტულ ბიზნესთან. მდინარე ალაზნის გაქრობაც რეალისტურია?

- ზუსტად მაგას ვამბობ, ეს შესწავლილი უნდა ყოფილიყო. არ იყო შესწავლილი, მოსახლეობა ზუსტად მაგას კითხულობდა, სად არის შეფასება გაკეთებული, რომ ჰესის მშენებლობა პრობლემას არ შეგვიქმნისო? ამ დროს ჰესის მშენებელმა კომპანიამ გააკეთა სამარცხვინო განცხადება, თუ პრობლემა შეგვექმნებათ, ჩვენ გამოვინახავთ გზებსო. ეს ყველაფერი კრიზისამდე უნდა შეესწავლათ. რაც შეეხება ალაზანს, თუ ჩახვალთ პანკისის ხეობაში და ნახავთ ხადორი 2-სა და ხადორი 1-ს, ძალიან კარგად მიხვდებით, რა მდგომარეობაში ჩავარდება ალაზანი ხადორი 3-ის შემთხვევაში, რადგან იმ ადგილებში ალაზანი უკვე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, პრაქტიკულად დამშრალია. ეს არცაა გასაკვირი, როცა მდინარიდან 90%-ს იღებ.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ პანკისელებმა იხსნეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა მსგავსი ჰესების აშენებისგან.

- ვერ ვიტყვი, იხსნეს თუ არა პანკისელებმა სხვები, მაგრამ ფაქტია, ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად ერთად დადგა, რაც მნიშვნელოვანია. ასევე, ნიშანდობლივია, რომ ადამიანებს საკუთარი უფლებების დაცვა უწევდათ ასეთი ფორმით, ასეთი რამ საქართველოს მოქალაქეებს არ უნდა დასჭირვებოდათ. რატომღაც ზოგიერთების მხრიდან ძალიან ცუდი შეფასებები კეთდებოდა პანკისელებთან მიმართებით, არადა, პანკისელებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, ისევე, როგორც მე და თქვენ, ამიტომ ყველას უფლება უნდა იყოს დაცული და გარანტირებული და არა მხოლოდ ერთი მცირე ბიზნესგუფის ინტერესები, რომლისთვისაც, წესით და რიგით, პასუხი უნდა მოეთხოვათ თუნდაც დარიალჰესთან მიმართებით, როდესაც, თავის დროზე, დარიალჰესი დაინგრა და 9 ადამიანი დაიღუპა.